

სამართლის სკოლაში პლაგიატის Turnitin-ის პროგრამის გამოყენების წესი

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2020 წლის 4 დეკემბერი N 53/20 ოქმით

პრეამბულა

საქართველოს უნივერსიტეტის აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის თანახმად, უნივერსიტეტი აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის გარკვეული ფორმების პრევენციის მიზნით იყენებს Turnitin-ის პროგრამას, რომლის გამოყენების ზოგადი წესებს ადგენს საქართველოს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 4 ოქტომბრის N 63/19 ოქმით დამტკიცებული კეთილსინდისიერების პოლიტიკის დანართი N 1 - Turnitin-ის გამოყენების სახელმძღვანელო. წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს სპეციალურ შემავსებელ ნორმებს, რომელიც ვრცელდება საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის სკოლის მიერ განხორციელებად სასწავლო პროცესზე.

მუხლი 1

- 1.1. Turnitin-ის პროგრამის გამოყენება სავალდებულოა სამართლის სკოლის სასწავლო პროცესში შექმნილი კვლევითი ხასიათის ნაშრომის შეფასებისას, რაც არ შემოიფარგლება, თუმცა მოიცავს საკვალიფიკაციო ნაშრომებს, სამეცნიერო სტატიებს, რეფერატებს;
- 1.2. კურსის დასაწყისში შესაბამისი სასწავლო კურსის/ნაშრომის ხელმძღვანელი ვალდებულია დარეგისტრირდეს Turnitin-ის პროგრამაში და გააფრთხილოს პროგრამაში დარეგისტრირების ვალდებულების შესახებ შესაბამისი სტუდენტები;
- 1.3. სტუდენტები, რომლებიც ასრულებენ ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ ნაშრომებს ვალდებულნი არიან დარეგისტრირდნენ Turnitin-ის პროგრამაში და უნივერსიტეტის რეგულაციებით ან/და ნაშრომის ხელმძღვანელის მიერ მითითებული ვადებიც დაცვით უზრუნველყონ ნაშრომის შესაბამისი ნაწილის ატვირთვა პროგრამაში.

მუხლი 2

2.1. Turnitin-ის პროგრამაში ნაშრომის დამთხვევების იდენტიფიცირებისას პროგრამის სექციის - **ფილტრები და პარამეტრები**, საშუალებით უნდა გამოირიცხოს:

- ა) ბიბლიოგრაფია;
- ბ) წყაროები, რომლებიც 10 სიტყვაზე ნაკლებია;
- გ) დამთხვევები, რომლებიც 10 სიტყვაზე ნაკლებია;
- დ) ნაშრომის აბსტრაქტი;
- ე) ნაშრომში კვლევის მეთოდების სექცია.

სამართლის სკოლაში პლაგიატის Turnitin-ის პროგრამის გამოყენების წესი

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2020 წლის 4 დეკემბერი N 53/20 ოქმით

2.2. წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პარამეტრებით დამთხვევების იდენტიფიცირების შემდეგ მოწმდება გამოვლენილი დამთხვევები. დამთხვევა დასაშვებია და შესაბამისად უნდა მოინიშნოს პროგრამაში, თუ ის:

ა) წარმოადგენს სიტყვასიტყვით ციტირებას ან პერიფრაზს, თუმცა შესაბამისი აკადემიური სტილის დაცვით მითითებულია წყარო;

ბ) წარმოადგენს ფაქტს, საყოველთაოდ ან/და დარგში მიღებულ ცოდნას;

გ) წარმოადგენს ნორმატიული აქტის სიტყვასიტყვით ციტირებას ან პერიფრაზს;

დ) წარმოადგენს პირის, დაწესებულების, ქვეყნის, წყაროს ან/და სხვა სახელწოდებას;

ე) არ თავსდება ამ პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“ ქვეპუნქტების კვალიფიკაციაში, თუმცა დამთხვევა არ შეესაბამება პლაგიატის განსაზღვრებას, რომელიც მოცემულია აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის მე-3 მუხლის 1.4 პუნქტში.

მუხლი 3

3.1. წინამდებარე წესის მე-2 მუხლით დადგენილი პროცედურა გამოიყენება როგორც პლაგიატის პრევენციის, ასევე მისი დეტექციის მიზნით.

3.2. წინამდებარე წესის მე-2 მუხლით დადგენილი პროცედურების გავლით ნაშრომის შემოწმება დასრულებული ნაშრომის ჩასაბარებლად უნივერსიტეტის რეგულაციებით ან/და სასწავლო კომპონენტის/ნაშრომის/პროგრამის ხელმძღვანელის მიერ მითითებულ ბოლო ვადამდე იძლევა ნაშრომის ავტორისთვის ბოლო ვადამდე გამოვლენილი დამთხვევების, ციტირების წესის დარღვევებისა და სავარაუდო პლაგიატის შემთხვევების აღმოფხვრის რეკომენდაციის გაცემის საფუძველს;

3.3. დასრულებული ნაშრომის ჩასაბარებლად უნივერსიტეტის რეგულაციებით ან/და სასწავლო კომპონენტის/ნაშრომის/პროგრამის ხელმძღვანელის მიერ მითითებულ ბოლო ვადის გასვლის შემდეგ ნაშრომის წინამდებარე წესის მე-2 მუხლით დადგენილი პროცედურების გავლით შემოწმებისას:

ა) წინამდებარე წესის მე-2 მუხლით დადგენილი პროცედურების გავლით შემდეგ Turnitin-ის პროგრამაში ნაშრომის დამთხვევის მაჩვენებლის მიერ 15%-იანი ზღვრის გადაჭარბება წარმოადგენს აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის მე-5 მუხლის 1.2-1.3 პუნქტით გათვალისწინებული პროცედურის დაწყების საფუძველს;

ბ) Turnitin-ის პროგრამაში ნაშრომის დამთხვევის მაჩვენებლის მიუხედავად, ნაშრომში აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის მე-3 მუხლის 1.4 პუნქტით

სამართლის სკოლაში პლაგიატის Turnitin-ის პროგრამის გამოყენების წესი

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2020 წლის 4 დეკემბერი N 53/20 ოქმით

გათვალისწინებული პლაგიატის ნიშნების აღმოჩენა წარმოადგენს აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის მე-5 მუხლის 1.2-1.3 პუნქტით გათვალისწინებული პროცედურის დაწყების საფუძველს.